



კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

KORNELI KEKELIDZE GEORGIAN
NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

თბილისი • TBILISI

2023

M RAVALTAVI

Philological and Historical
Researches

Published since 1971

29

ქართული
რეალთაუი

ფილოლოგიურ-ისტორიული
ძიგანი

გამოდის 1971 წლიდან

„მრავალთავის“ 29-ე ტომში წარმოდგენილია ფილოლოგიურ-კოდიკოლოგიური და წყაროთმცოდნეობით-ისტორიული ხასიათის ნარკვევები, რომლებიც ეძღვნება ქართული მწერლობის, ისტორიისა და კულტურის საკითხებს, აგრეთვე, 2022 წლის ქრონიკა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ და ცენტრის მეცნიერ თანამშრომლების მონაწილეობით ჩატარებული კონფერენციების, სემინარების, გამოფენების, ექსპედიციამივლინებების შესახებ. მკითხველი ასევე გაეცნობა ინფორმაციას ცენტრის მიერ 2022 წელს გამოცემული წიგნების შესახებ.

სარედაქციო კოლეჯია

ნათია დუნდუა (პასუხისმგებელი მდივანი), დარეჯან კლდიაშვილი, აპოლონ თაბუაშვილი, მაია მაჭავარიანი, ნინო მელიქიშვილი (მთავარი რედაქტორი), თამარ ოთხმეზური, მაია რაფავა, მზია სურგულაძე, დალი ჩიტუნაშვილი.

იოსტ გიპერტი (ჰამბურგის უნივერსიტეტი), ჰუბერტ კაუფჰოლდი (მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტი), ბერნარ კული (ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი), ოლივერ რაისნერი (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი), ბერნარ უტიე (სამეცნიერო კვლევის ფრანგული ნაციონალური ცენტრი), თინათინ ქრონცი (მაინცის გუტენბერგის სახელობის უნივერსიტეტი), გაგა შურღაია (ნეაპოლის უნივერსიტეტი “L’Orientale”), ნინო ცხომელიძე (ჯონს ჰოპკინზის უნივერსიტეტი).

ტომის რედაქტორები: მაია მაჭავარიანი, დარეჯან კლდიაშვილი.

EDITORIAL BOARD

Dali Chitunashvili, Natia Dundua (executive secretary), Darejan Kldiashvili, Maia Matchavariani, Nino Melikishvili (editor-in-chief), Thamar Otkhmezuri, Maia Raphava, Mzia Surguladze, Apolon Tabuashvili.

Jost Gippert (Universität Hamburg), Hubert Kaufhold (Ludwig-Maximilians-Universität München), Bernard Coulie (Université Catholique de Louvain), Oliver Reisner (Iliia State University), Bernard Outtier (French National Centre for Scientific Research), Tinatin Chronz (Johannes Gutenberg-Universität Mainz), Gaga Shurghaia (University of Naples “L’Orientale”), Nino Zchomelidse (Johns Hopkins University).

Editors of the volume: Maia Matchavariani, Darejan Kldiashvili.

ISSN 0234-7385 („მრავალთავი“)

© კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2023

შინაარსი

ობარ ოთხმეზური	
ფიგურალური გამოთქმა – კანონი ილისტიკისა – ეგრემ მცირის თარგმანებში (არეოპაგიტული კორპუსი და გრიგოლ ღვთისმეტყველის ლიტურგიკულ საკითხავთა კრებული)	10
ნინო მელიქიშვილი	
წმ. ეფთვიმე ათონელის „ღვთისმშობლის ცხოვრების“ ქართული თარგმანის ბერძნული წყაროს შესახებ	26
ემვთიმიე კოჭლამაზაშვილი	
ეფთვიმე მთაწმიდელის ერთი უცნობი თარგმანი	53
ნუზარ პაპუაშვილი	
ახალციხის მეჩეთი და მისი ბიბლიოთეკა პავლე სანკოვსკის სტატიის კვლადაკვალ	73
ლაშა ტყეშელაშვილი	
ევაგრე პონტოელის შრომათა ძველი ქართული თარგმანები (წინათონური) და მათ შორის ერთი უცნობი შეგონება „ცუდადუაობისათვის“	109
ოქრო ჯოჯუა	
ძველი გაფაზის თავწმინდა გიორგის ეკლესიის 1026 წლის საღმრთაწმინდა წარწერა კახეთ-პერეთის მეფეების – კვირიკე III დიდისა და საჰლას მოხსენიებით	128
ცისანა ბიბილიაშვილი	
სახლი ბეთანიაში (ბარონ ალ. ნიკოლაის წერილების მიხედვით)	164
EKA KVIRKVELIA, MARIAM KAMARAULI	
A preliminary analysis of the Georgian Palimpsest Paris, BnF, géorg. 5 with Multispectral Imaging	175
WALKER R. THOMPSON	
Marian Hymnography in the Georgian Jerusalem Tropologion	205

მავდა მჟედლიძე

იოანე პეტრიწის ვრცელი ბიბლიოგრაფია 2021 წლამდე 233

ინფორმაცია

ქრონიკა 2022 257

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის 2022 წლის გამოცემები 263

IN MEMORIAM

ზაზა ალექსიძის გახსენება 271

ეთერ ქავთარაძე (1937-2023) 279

CONTENTS

THAMAR OTKHMEZURI

- Figurative Expression – A Rule of Ilistiki – in the Collection of Gregory the Theologian’s Liturgical Sermons and the Corpus Areopagiticus Translated by Ephrem Mtsire 10

NINO MELIKISHVILI

- On the Greek Source of the Georgian Translation of the “Life of the Virgin Mary” by St. Euthymius the Hagiorite (based on the research of Michel Van Esbroeck and Christos Simelidis) 26

EKVTIME KOCHLAMAZASHVILI

- A Previously Unknown Translation by Euthymius the Hagiorite 53

NUGZAR PAPUASHVILI

- Akhaltsikhe Mosque and Its Library: Following Pavel Sankovski’s Article 73

LASHA TKEBUCHAVA

- Old-Georgian (Pre-Athonite) Translations of the Works of Evagrius Ponticus and Among Them One Unknown Admonition “De Vana Gloria” 109

TEMO JOJUA

- The 1026-year-old Construction Inscription of the Church of St. George of Old Gavazi, Mentioning the Kings of Kakheti-Hereti – Kvirike III the Great and Sahla 128

TSISANA BIBILEISHVILI

- The House in Bethania (Based on the Letters of Baron Al. Nikolai) 164

EKA KVIRKVELIA, MARIAM KAMARAULI

- A preliminary analysis of the Georgian Palimpsest Paris, BnF, géorg. 5 with Multispectral Imaging 175

WALKER R. THOMPSON

- Marian Hymnography in the Georgian Jerusalem Tropologion 205

MAGDA MCHEDLIDZE

- An Extensive Bibliography of Ioane Petritsi up to 2021 233

INFORMATION

- Chronicle – 2022 257
Publications of the National Center of Manuscripts – 2022 263

IN MEMORIAM

Remembering Zaza Aleksidze
Eter Kavtaradze (1937-2023)

271

279

ხელნაწერთა ძირითადი საცავები საქართველოში

შემოკლებები

გიმ	სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი
სცსა	საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი (საქართველოს ეროვნული არქივი)
სიმ	სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)
სჰიმ	ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)
ქიმ	ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი
ხმ	შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების ეროვნული მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)
ხეც	ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ყოფილი კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი)
ზიამ	ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი
NCM	National Centre of Manuscripts

თამარ ოთხეაზური

ფიგურალური გამოთქმა – კანონი ილისტიკისად – ეფრემ მცირის თარგმანებში (არეოპაგიტული კორპუსი და გრიგოლ ღვთისმეტყველის ლიტურგიკულ საკითხავთა კრებული)

გვიანანტიკური ეპოქის ორი უმნიშვნელოვანესი ძეგლი – გრიგოლ ღვთისმეტყველის 16 ლიტურგიკული სიტყვის კრებული¹ და არეოპაგიტული კორპუსი² – ქართულად შავი მთის ელინოფილი მწიგნობრის, ეფრემ მცირის მიერ არის ნათარგმნი XI საუკუნის ბოლო ათწლეულში.³ მასვე ეკუთვნის ამ კრებულების კომენტარების ქართული თარგმანები, რომლებიც ორივე კრებულში ხელნაწერთა აშიებზეა დართული.⁴ ესენია: გრიგოლ

¹ როგორც ცნობილია, ეფრემ მცირემდე გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებები არაერთხელ იყო ნათარგმნი: ორი ლიტურგიკული საკითხავი (*In nativitate* – Or. 38 და *In sancta lumina* – Or. 39) ითარგმნა ჯერ კიდევ წინათონურ ეპოქაში ანთონი მთარგმნელის მიერ ბერძნულიდან; ორი საკითხავი (Or. 7, 27) X საუკუნეში სომხურიდან თარგმნა გრიგოლ ოშკელმა; XI საუკუნის დასაწყისში ექვთიმე მთაწმინდელის მიერ ითარგმნა 15 ლიტურგიკული საკითხავი და რამდენიმე არალიტურგიკული სიტყვა, მათ შორის თეოლოგიური სიტყვები (Or. 29, 30, 31) და ეპისტოლეები (*Ep.* 101, 102); ამ პერიოდში დავით ტბელმაც თარგმნა გრიგოლის რამდენიმე საკითხავი. XI ს.-ის ბოლო მეოთხედში ეფრემ მცირემ ჯერ თარგმნა გრიგოლის მანამდე უთარგმნელი საკითხავები, ხოლო შემდგომ ხელახლა თარგმნა 16 ლიტურგიკული სიტყვა ცალკე კრებულის სახით. გამოცემისათვის იხ. *S. Gregorii Nazianzeni Opera. Versio iberica*, I-VII.

² ქართულად არსებობს არეოპაგიტული კორპუსის მხოლოდ ერთი ეფრემ მცირისეული თარგმანი. გამოცემისათვის იხ. ენუქაშვილი (გამოც.), *პეტრე იმერიელი*.

³ კრებულების თარგმნის თარიღისათვის იხ. Otkhmezuri, “The Liturgical Sermons”, pp. 469-475.

⁴ არეოპაგიტული კორპუსის ეფრემისეული თარგმანის შემცველი ხელნაწერები აშიებზე კომენტარებით შემდეგია: ხეც A-110 (XII ს., ხელნაწერის ნაწილები, განსაკუთრებით დასაწყისი და ბოლო რესტავრირებულია XVIII ს.-ში), ხეც A-684 (XII ს.), ხეც A-163 (XVI ს.) და სხვ. გრიგოლ ღვთისმეტყველის 16 ლიტურგიკული საკითხავის კომენტარებიანი კრებულებია: Jer. georg. 43 (XII ს.), Jer. georg. 15 (XII ს.); ხეც A-109 (XIII ს.); გრიგოლის საკითხავთა კიდევ

ღვთისმეტყველის თხზულებათა კომენტარები, რომელთა ავტორია X საუკუნის ბიზანტიელი მწიგნობარი, კესარია-კაპადოკიის ეპისკოპოსი ბასილი მინიმუსი⁵ და არეოპაგიტული კორპუსის კომენტარები, რომლებიც ეკუთვნის VI საუკუნის ავტორს, იოანე სკვითოპოლელს.⁶

ეფრემ მცირის ამ თარგმანებს ერთი მეტად საყურადღებო თავისებურება აქვს: ძირითადი ტექსტები – გროგოლ ღვთისმეტყველის საკითხავები და თავად არეოპაგიტული კორპუსი – ეფრემ მცირის მიერ ელინოფილური მთარგმნელობითი მეთოდითაა ნათარგმნი, ხოლო ბასილი მინიმუსისა და იოანე სკვითოპოლელის კომენტარების ქართული თარგმანი საკმაოდ თავისუფალი მეთოდითაა შესრულებული.⁷

ეფრემის ამგვარ მიდგომას კომენტარული ტექსტების მიმართ განსაზღვრავს ამ ტექსტების ექსპოზიციური ხასიათი. განმარტება განსამარტავ ტექსტს უნდა მიესადაგოს, შეეწყოს, რაც თარგმანში მთარგმნელის ჩარევას, ცვლილებების შეტანას საჭიროებს. შესაბამისად, ორივე კომენტარის ეფრემისეულ თარგმანში დასტურდება ტექსტის კლებისა თუ მატების, ადაპტირების და სხვ. შემთხვევები.

ჩვენი სტატიის მიზანია, განვიხილოთ ბასილი მინიმუსისა და იოანე სკვითოპოლელის კომენტართა ეფრემისეულ თარგმანებში დადასტურებული ერთი ფიგურალური გამოთქმა, რომელიც ამ ტექსტებში ჩართული უნდა იყოს ეფრემ მცირის მიერ. შევეცდებით, გავარკვიოთ მისი შინაარსი და დანიშნულება.

გრიგოლღვთისმეტყველისXIVსაკითხავის–„გლახაკთმოყუარებისათვს“ – ბასილი მინიმუსისეულ კომენტარში განმარტებულია სიტყვათშეთანხმება „სიტყვს მკუეთელობა“⁸ (τῆ τομῆ τῶν λόγῳ):⁹

ერთ ხელნაწერს – Jer. georg. 13 (XIII ს.) – კომენტარები ერთვის არა აშიეზზე, არამედ ბოლოს.

⁵ ბასილი მინიმუსის კომენტართა როგორც ბერძნული, ისე ქართული ტექსტები მხოლოდ ნაწილობრივია გამოცემული, ბერძნულად – XXVIII, IV და V საკითხავებისა, ხოლო ქართულად – I და XXXIX საკითხავების კომენტარები. Schmidt (ed.), *Basilii Minimi*; Rioual (ed.), *Basilii Minimi*; ოთხმეზური, *კომენტარული უანრი*.

⁶ ბერძნული ტექსტის გამოცემისათვის იხ. Suchla (ed.), *Corpus Dionysiacum*, IV/1. კომენტარების ქართული თარგმანი გამოცემულია მხოლოდ ნაწილობრივ: ჭუმბურიძე (გამოც.), *ქართულ-ბერძნული საღვთისმეტყველო განმარტებანი*.

⁷ ოთხმეზური, *კომენტარული უანრი*, გვ. 20; ჭუმბურიძე (გამოც.), *ქართულ-ბერძნული საღვთისმეტყველო განმარტებანი*, გვ. 7.

⁸ *S. Gregorii Nazianzeni Opera. Versio iberica*, VII, გვ. 183.

⁹ *PG* 35, col. 884 C 15.

რამეთუ სიტყუად, რომელ არს სამთავრობითი და საღმრთოდ, ვითარცა მიუდრეკელი რამე კ ა ნ ო ნ ი ი ლ ი ს ტ ი კ ი ს ა ე და მსაჯული სამართალი, მეცნიერ არს მოგონებით თანაშეტყუებად და განყოფად უმჯობესა უდარესისაგან, რამეთუ ესე არს „მკუეთელობად“ და ნეტარი განრჩევაჲ, წუთჟამისთა უგულებელსყოფად ყოვლადბრძნად თავსა შორის თვისა დადებითა საღმრთოთა აღსავალთაჲთა.¹⁰

განმარტებაში საუბარია საღვთო სიტყვის, ლოგოსის ძალაზე, რომელიც მკვეთრად განარჩევს ერთმანეთისაგან ცუდსა და კარგს, წარმავალსა და მარადიულს. ბასილისეული განმარტება ეფრემ მცირის მიერ მეტნაკლებად თავისუფალი მთარგმნელობითი მეთოდით არის გადმოტანილი, კერძოდ, დასაწყის წინადადებაში – ὁ γὰρ λόγος ἦτοι τὸ ἐν ἡμῖν ἡγεμονικὸν καὶ θεῖον, ἄσπέρ τις ἀμετακλιτῆς καὶ ὧν (*Paris. Coisl.* 240, f. 125r-v) – სიტყვა, ანუ ის, რაც ჩვენში არის წარმმართველი და ღვთაებრივი, როგორც შეურყვეველი კანონი“ – ჩამატებულია *ილისტიკისა*. ანუ ეფრემისეულ თარგმანში გვაქვს სიტყვათშეთანხმება კანონი ილისტიკისა, რომელიც არ დასტურდება ბერძნულ წყაროში.

ლექსიკური ერთეულის – ილისტიკის – განმარტება მოცემულია სულხან-საბასთან:

ილისტიკი – (2, 78 დიონოს.) ზღუდის სამართი AbB. სამართი ზღუდისა C. სხვა კათილორია: „რამეთუ მაშენებელი ილისტიკისა იწუმევს გამორჩევისა მიმართ გინა თუ მართალი არს ზღუდე, გინა არა, გარნა თუ რა არს ილისტიკი, არა უწყის D.¹¹

ამგვარად, საუბარია მშენებელთა მიერ ზღუდის (კედლის, გალავნის) შენებისას გამოყენებულ ხელსაწყოზე, რომლის საშუალებითაც ირკვევა, თუ რამდენად სწორად, გამართულად არის ის აშენებული. როგორც მითითებულია („სხვა კათილორია“), განმარტება მომდინარეობს ამონიოს ერმისის თხზულების „მოსაჯსენებელი ხუთთა ჳმათადმი პორფირი ფილოსოფოსისათა“ თარგმანიდან,¹² კერძოდ, ამ თხზულების შესავლიდან, რომელშიც განხილულია ფილოსოფიის სხვადასხვაგვარი განმარტება, რაც, თავის მხრივ, მოიცავს ხელოვნების სახეობათა შესახებ მსჯელობას. ნავსად წოდებული ხელოვნების, ანუ ხელოსნობის შესახებ საუბრისას მაგალითად მოყვანილია მშენებლის მიერ პრაქტიკულ საქმიანობაში,

¹⁰ ხეც A-109, f. 165v.

¹¹ ორბელიანი I, გვ. 328.

¹² კეკელიძე, რაფავა (გამოც.), *ამონიოს ერმისის თხზულებები*, გვ. 10, 195.

კედლის შენებისას, ხელსაწყო – ილისტიკის – გამოყენება. ილისტიკის ბერძნული შესატყვისი ამ ტექსტში არის κἀστις (პერპენდიკულარი).

თუ კონკრეტულად რომელი ხელსაწყო ილისტიკი, ამას აზუსტებს სულხან-საბას „ლექსიკონი ქართულის“ დანართი – *უცხო შესატყვისობანი* (იტალიურ-თურქულ-სომხური), რომელშიც წარმოდგენილია შემდეგი განმარტება:

ილისტიკი – თ. შაულ ZAa, შაული Cb.¹³

ამგვარად, ილისტიკის თურქული შესატყვისია შაული, თურქული ენიდან ქართულში შემოსული და დამკვიდრებული სიტყვა – შვეული.¹⁴ ეს არის კედლის ვერტიკალური მდგომარეობის შესამოწმებელი ხელსაწყო – თოკზე დაკიდებული ფოლადის ან რკინის ფიგურა, რომელიც ეგვიპტელებმა შექმნეს 4000 წლის წინ პირამიდების მშენებლობისას და რომელიც დღესაც გამოიყენება სამშენებლო საქმეში.

სულხან-საბასთან ილისტიკის განმარტებისას დასახელებულია კიდევ ერთი წყარო – არეოპაგიტული კორპუსი. ეს ლექსიკური ერთეული მართლაც დასტურდება არეოპაგიტული კორპუსის ეფრემ მცირისეულ კრებულში, კერძოდ, იოანე სკვითოპოლეელის კომენტარში, რომელიც აშიაზე ერთგის კორპუსის ერთ-ერთი თავის – „სადმრთოთა სახელთათვს“ – პასაჟს, რომელშიც განმარტებულია ანტიკური ფილოსოფიის ტერმინი ἐπιστήμη (ცოდნა, მეცნიერება). ეს სიტყვა ძველ ქართულ თარგმანებში სხვადასხვაგვარად არის ხოლმე გადმოტანილი, ხშირ შემთხვევაში კი – როგორც *ჭეღოვნება*:

ჭეღოვნება არს ანუ ძებნაჲ საქმისა, რომელი, ვითარცა კანონისა ილისტიკისა და, ეგრეთ მართლმოდრეკელად მიმყოლ იყოს მართლისა გულისსიტყვსადა¹⁵ – ἐπιστήμη γάρ ἐστι δόξα ὀρθῆ λογισμῷ δεθεῖσα ἢ λόγος ἀληθῆς ἐπὶ δυνάσιν ἀμετάπτωτος.¹⁶

ეფრემისეული თარგმანი საკმაოდ თავისუფალია და, როგორც ვხედავთ, ბერძნულ ტექსტში ფრაზას „ვითარცა კანონისა ილისტიკისადა“ შესატყვისი არ აქვს, ანუ ის ეფრემის მიერაა ჩართული იოანე სკვითოპოლეელის განმარტებაში.

¹³ ორბელიანი II, გვ. 515.

¹⁴ დიდ მადლობას ვუხდით აღმოსავლეთმცოდნეებს, ქალბატონ ცისანა აბულაძესა და თამარ პაპუაშვილს, ამ ლექსიკური ერთეულის რაობის გარკვევაში გაწეული დახმარებისათვის.

¹⁵ ხეც A-110, f. 22; ხეც A-163, f. 38.

¹⁶ Suchla (ed.), *Corpus Dionysiacum*, IV/1, p. 167.

ამგვარად, ორივე ტექსტში, როგორც ბასილი მინიმუსის, ისე იოანე სკვითოპოლელის ეფრემისეულ თარგმანში, ილისტიკი კანონთან მიმართებაშია ნახსენები. პირველ შემთხვევაში სიტყვა (Λόγις), ხოლო, მეორე შემთხვევაში, ჯელოვნება (ἐπιστήμη) მოქმედებს ილისტიკის / შვეულის კანონის მიხედვით, ანუ სიზუსტის, სისწორის პრინციპით მომუშავე სამშენებლო ხელსაწყოს დარად. შესაბამისად, გამოთქმა – ილისტიკის კანონი – ფიგურალურია და ნიშნავს ურყევ, ზუსტად განსაზღვრულ კანონს.

შვეული, როგორც ღმერთის საზომი (კაცის სახე შვეულით ხელში), ნახსენებია ბიბლიაში, კერძოდ, ამოსის წიგნში:

ესრტო მიჩუნა მე უფალმან და აჰა ესერა, მდგომარც ზღუდეთა ზედა ადამანტიანისათა (v. 1. ადამანტისასა) და ჯელსა შინა მისსა – ადამაჲ (v. 1. ადამასი)... და თქუა უფალმან: აჰა ესერა, მე დავასვე ადამაჲ (v. 1. ადამასნი) შორის ერისა ისრაჴლისა. არღარა შევსძინო თანაწარსვლად მისა.¹⁷

ბერძნულში ადამანტიანი / ადამანტისა და ადამაჲ / ადამასის შესატყვისი ლექსიკური ერთეულია ἄδᾶμας (gen. ἄδᾶμαντις) – *ფორადი, რკინა, ფორადისგან დამზადებული ნივთი / შვეული*; გადატანითი მნიშვნელობით – *ძიერი, უდრეკი, გაუფხებელი*.¹⁸ ქართულად ეს ლექსიკური ერთეული ტრანსლიტერაციით არის გადმოტანილი ბერძნულიდან. ამ მუხლის აზრი შემდეგშია: ადამანტის ზღუდე (მტკიცე კედელი) ისრაელია, ხოლო კაცი ადამასით (შვეულით) ხელში თავად უფალია, რომელიც იკვლევს, ამოწმებს (ზომავს), რამდენად მტკიცედ მისდევს ისრაელი მის მიერ დაწესებულ კანონებს (რამდენად სწორადაა ნაგები კედელი). ადამასი (შვეული) – ზემოდან ქვემოთ დაშვებულ თოკზე დაკიდებული მტკიცე, მყარი მეტალის ფიგურა – ფაქტობრივად არის ღმერთის მიერ ადამიანთათვის დაწესებული ურყევი კანონების ან კანონების ზუსტი საზომის მხატვრული სახე.

ქართულ მწიგნობრულ ტრადიციაში ლექსიკური ერთეული *იღისციკი* კიდევ ერთგან დასტურდება. ეს არის დანიელ წინასწარმეტყველის წიგნის მე-4 თავი, რომელშიც საუბარია მეფე ნაბუქოდონოსორის სიზმრისა და ბალთაზარის მიერ ამ სიზმრის განმარტების შესახებ. აქ ილისტიკს ერთი შეხედვით განსხვავებული მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით. აი, როგორ იწყებს თავის თხრობას მეფე:

და ვხედვედ ჩუენებასა ღამისასა საწოლსა ჩემსა ზედა და, აჰა ესერა,

¹⁷ ამოს. 7, 7-8.

¹⁸ Liddell-Scott, *A Greek-English Lexicon*, p. 20.

ილისტიკი წმიდაა ზეცით გარდამოცდა.¹⁹

ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ ილისტიკის განმარტებისას მოყვანილია სწორედ ეს პასაჟი დანიელ წინასწარმეტყველის წიგნიდან და ილისტიკი, კონტექსტიდან გამომდინარე, განმარტებულია, როგორც *ანგელოზი*.²⁰ ამ მუხლის ბერძნული წყაროა:

Ἰ Θεῶν ἐν ὀράματι τῆς νυκτὸς ἐπι τῆς κοίτης μου καὶ ἰδοὺ ἰρ καὶ ἄγγελος ἄπ' οὐρανοῦ κατέβη.

აქ ილისტიკის შესატყვისია ἰρ. დანიელ წინასწარმეტყველის წიგნის ებრაულ ვერსიაში, ამ მუხლში, ἰρ-ის შესაბამისია სიტყვა *שׁוּר*, რომელიც გამოითქმის, როგორც ირ, ანუ ბერძნულ თარგმანში ებრაული სიტყვა ტრანსლიტერაციით არის გადმოტანილი. თავის მხრივ კი, ებრაული ლექსიკური ერთეული *שׁוּר* ნიშნავს *მეთვალყურეს, ზედამხედველს*.²¹

ვფიქრობთ, კავშირი ილისტიკის ორ განმარტებას შორის – *შვეუდი და მეთვალყურე, ზედამხედველი* – ცხადია. როგორც ამოსის წიგნიდან მოყვანილი პასაჟიდან ჩანს, საზომი – შვეული (ადამასი), ანუ ღვთის მიერ ბოძებული კანონის აღსრულების შემმოწმებელი – ისრაელის ერს ღმერთისაგან, ზევიდან (ზლუდიდან) ევლინება, რათა ისინი არ შეცდნენ და არასოდეს გადაუხვიონ მას. დანიელის წიგნში, ნაბუქოდონოსორის სიზმარში, ილისტიკიც (ანუ მეთვალყურე) ზეციდან, ზევიდან ეშვება მეფის საწოლზე და სიზმარში ღვთის ნებას უცხადებს მას – გარკვეული წესებით მოქმედებას მოითხოვს მისგან.²² ანუ ბიბლიის მიხედვით, ἰρ (*ზედამხედველი, მეთვალყურე*) და ἄνῃμας (*შვეუდი / სისწორის საზომი*) – ღვთის ნების აღსრულების შემმოწმებელია.

საიდან გაჩნდა ლექსიკური ერთეული *ილისტიკი* ქართულში? როგორც ვხედავთ, ქართული ნათარგმნი ტექსტების – ბასილი მინიმუსისა და იოანე სკვითოპოლელის კომენტარების, ამონიოს ერმისის თხზულების, ამოსისა და დანიელის წიგნების შესაბამისი ბერძნული წყაროები ამ ლექსიკური ერთეულის წარმომავლობის შესახებ ვერაფერს გვეუბნება. პირველ ორ შემთხვევაში, როდესაც ის ფიგურალურ გამოთქმაშია წარმოდგენილი, ამ სიტყვას ბერძნული შესატყვისი არ აქვს; ამონიოსთან დასტურდება *κάθετος*, ამოსთან – *ἄνῃμας*, ხოლო დანიელთან – ἰρ. როგორც ჩანს, თავად

¹⁹ დანიელ. 4, 13.

²⁰ აბულაძე, *ძველი ქართული ენის ლექსიკონი*, გვ. 188.

²¹ Collins, “*Watcher* *שׁוּר*”.

²² დანიელ. 4, 10-24.

ბერძნულში შვეულს და, საერთოდაც, სამუშაო იარაღებს, მყარი ლექსიკური შესატყვისები არ ჰქონდა. მაგალითად, ბიბლიის იმ მუხლებში, რომლებშიც საუბარია რაღაცის გაზომვაზე, დასტურდება სხვადასხვა ლექსიკური ერთეული: ქვაჲ კასტირიონი – τὸν λίθον τὸν κασσιτέριον (ზაქარია, 4, 10), საბელი ქუეყანის საზომელი – σαρτίον (ესაია, 34, 11) და სხვ.

რაც შეეხება *ირისციკს*, ის უნდა მომდინარეობდეს მსგავსი უღერადობის მქონე ბერძნული ლექსიკური ერთეულიდან ἰλλᾶς, -ᾶδις – თოკი, ბაწარი,²³ რომელიც საზომინსტრუმენტის, შვეულის შემადგენელი ერთ-ერთი მთავარი ნაწილია. თუკი *ირ-ისციკის* ძირს ამ ბერძნულ სიტყვას დავუკავშირებთ, სუფიქსი *-ისციკი* შესაძლოა, ამ ძირის (ἰλλ-//εἰλ-) ფორმატივის სუფიქსად (-ιστ-ικ-იც) წარმოვიდგინოთ, რისი ტრანსლიტერაციაც გვაქვს ქართულ სიტყვაში.

თოკი ძველ სამყაროში თავისთავად, დამოუკიდებლადაც მჭიდროდ იყო დაკავშირებული სამშენებლო საქმესთან, ხშირად ისეთივე დანიშნულებისა იყო (ანუ ზომავდა, ამოწმებდა), როგორც შვეული. მაგალითად, თოკი ყოველდღიურ ყოფაში აქტიურად იყო გამოყენებული მიწათმოქმედებაში, როგორც მიწის საზომი, სამშენებლო საქმეში – გარდა შვეულისა, დამოუკიდებლადაც, ასევე, თარაზოს პრინციპით მომუშავე ხელსაწყოებში, მაგალითად, იმის განსასაზღვრად, რამდენად სწორად არის ნაშენი ჰორიზონტალური ზედაპირი და ა. შ. მაგალითად, σάρτιον (თოკი), როგორც სამშენებლო საქმეში გამოყენებული ინსტრუმენტი, დასტურდება ნონოს პანოპოლელის „დიონისიაკას“ იმ პასაჟში, რომელშიც აღწერილია ქალაქი თებეს მშენებლობა (Dionysiaca, 5, 55).

როგორც ჩანს, საყოველთაოდ ცნობილი დანიშნულების გამო (გაზომვა, შემოწმება), თოკი ფიგურირებდა გადატანითი მნიშვნელობის მქონე გამონათქვამებში. მაგალითად, ცნობილ თხზულებაში „ახალგაზრდებს იმის თაობაზე, როგორ მიიღონ სარგებლობა წარმართული მწერლობიდან“, რომელიც ბასილი დიდს მიეწერება, ვკითხულობთ: „ამიტომ ყოველი მეცნიერება თავიდანვე უნდა განვიხილოთ და, დორიული ანდაზის მიხედვით, ქვა გავუსწოროთ თოკს, ანუ ჩვენი მიზნის შესაბამისად გამოვიყენოთ“²⁴ (κατὰ τὴν Δωρικὴν παροιμίαν τὸν λίθον πρὸς τὸν σάρτιον ἄγοιται²⁵). ამგვარად, დორიული ანდაზა უკავშირდება სამშენებლო საქმეს და გადატანითი

²³ ეს აზრი მოგვაწოდა ჩვენმა კოლეგამ, ბიზანტინისტმა მაგდა მჭედლიძემ, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით.

²⁴ კოპლატაძე (თარგ.), *წმ. ბასილი დიდი*, გვ. 141-142.

²⁵ *De legendis gentilium libris*, 4, 10.

მნიშვნელობით გულისხმობს ქრისტიანი ახალგაზრდების მიერ სიზუსტის, ადეკვატურობის დაცვას ანტიკურ მეცნიერებათა გამოყენებაში. ამ პასაჟში თოკის შესატყვისია ბერძნული ლექსიკური ერთეული *σᾶπιον*.

კვლავ დავუბრუნდეთ ლექსიკურ ერთეულს *ἰλῆς*-ს. ბერძნულენოვან წერილობით ძეგლებში ეს სიტყვა ხშირად გამოყენებული არ არის. საერთოდ არ არის ბიბლიაში, ერთხელ გვხვდება ჰომეროსთან.²⁶ ფაქტი, რომ *ἰρისტიკი* დასტურდება დანიელ წინასწარმეტყველის წიგნში,²⁷ მიუთითებს იმაზე, რომ ეს სიტყვა როგორც ქართულ სალაპარაკო, ისე სამწიგნობრო ენაში საკმაოდ ადრეულ პერიოდში უნდა იყოს შემოსული, რადგან ბოლოდროინდელი კვლევების თანახმად, ძველი აღთქმის, კერძოდ, წინასწარმეტყველთა წიგნების ქართული თარგმანები ერთ-ერთ ყველაზე ადრეულ პერიოდში შესრულებულად არის მიჩნეული (არაუგვიანეს V-VI სს.).²⁸ სავარაუდოა, რომ დანიელ წინასწარმეტყველის წიგნის ქართველი მთარგმნელი, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი ქრისტიანული ტერმინოლოგიის პირობებში, ყოფით ლექსიკას მიმართავს²⁹ და იქიდან იღებს უცხოურ ლექსიკურ ერთეულთან (ip) შინაარსობრივად ახლოს მდგომ ყოფით სიტყვას, სამშენებლო საქმესთან დაკავშირებული ხელსაწყო სახელს (ილისტიკი – სიზუსტის შემმოწმებელი საზომი) და არგებს მას მეფე ნაბუქოდონოსორის სიზმრის ეპიზოდს, რომელშიც მეფეს ზეციდან ევლინება ზედამხედველი, შემმოწმებელი – ილისტიკი.

რატომ და საიდან გაჩნდა ეფრემისეულ თარგმანებში ფიგურალური გამოთქმა ილისტიკის კანონი?

საზოგადოდ, ტროპები – მხატვრული სახეები – ფიგურალური გამოთქმები, მეტაფორები, შედარებები, ანალოგიები და სხვ. უხვად დასტურდება ეფრემ მცირისეულ ტექსტებში – მის ორიგინალურ შესავლებსა და მარგინალურ შენიშვნებში, რომლებსაც ის ურთავს ხოლმე საკუთარ თარგმანებს,³⁰ ასევე, მის მიერ თავისუფალი მთარგმნელობითი

²⁶ II. 13, 572; უფრო დეტალურად იხ. Liddell-Scott, *A Greek-English Lexicon*, p. 828.

²⁷ დანიელის წიგნში (4, 13) ილისტიკი დასტურდება ოშკის ბიბლიასა და Jer. georg. 7/11-ში (XI ს). ხოლო გვიანდელ ნუსხებში (ბაქარის ბიბლია და ხეც A-179, 1669 წ.) *ἰრისტიკი* ჩანაცვლებულია *ირისე*-თი. *მიძრია* II, გვ. 2863.

²⁸ Kharanauli, “Georgian Texts”, p. 469.

²⁹ ბიბლიის ქართულ ენაზე გადმოღებისას ეს იყო ერთ-ერთი გზა იმ ცნებების გამოსახატავად, რომლებიც ჯერ კიდევ ახალი და უცნობი იყო ქართული სინამდვილისათვის, იხ. მელიქიშვილი, „ქრისტიანული ტერმინების შექმნის გზები“, გვ. 45, სქ. 36, 37.

³⁰ ეფრემ მცირის მარგინალური შენიშვნების შესახებ გრიგოლ ღვთისმეტყველის

მეთოდით შესრულებულ ნაშრომებში. ეფრემისეულ მხატვრულ სახეებს უმეტესწილად ეძებნება ლიტერატურული წყაროები. ესენია ბიბლია და თავად ეფრემის მიერ ბერძნულიდან ნათარგმნი თხზულებები. მაგალითად, გრიგოლ ღვთისმეტყველის 16 ლიტურგიკული საკითხავის კრებულის ეფრემისეული თარგმანის წინასიტყვაობა – ეფრემის ეპისტოლე კვირიკე ალექსანდრიელის მიმართ – მდიდარია მხატვრული სახეებით, რომელთა ნაწილის წყაროა მხატვრული სახეებითა და რიტორიკული ორნამენტებით მდიდარი გრიგოლ ღვთისმეტყველის საკითხავები (მაგალითად, ეფრემის მიერ ექვთიმე მთაწმინდელის დახასიათებისას გამოყენებული ლომისა და ციდამტკაველის მხატვრული სახე, რომელიც მომდინარეობს გრიგოლ ღვთისმეტყველის XLIII საკითხავიდან – „ბასილი დიდის ეპიტაფიიდან“, კვირიკე ალექსანდრიელის მხატვრული სახე – „ჯერეთ ჳორცთალა შინა მყოფი ჳორცთ-ზეშთაჲ“, რომლის წყარო არის გრიგოლ ღვთისმეტყველის XV საკითხავი „მაკაბელთა მიმართ“).³¹

ნიმუშისათვის განვიხილოთ ერთი ფრაზა ეფრემის მარგინალური შენიშვიდან, რომელშიც განმარტებულია ბასილი მინიმუსის კომენტარში ნახსენები ლექსიკური ერთეულები – სფერო და ჰემისფერო:

ამის სფერისა სიმრგულესა შინა, ზედასა და ქუეშესა, ვითარცა წერტილი რაჲმე კარაკინითა მომრგულელესა შინა შუა ოდენ არს ქუეყანაჲ.³²

სფეროს განმარტებისას ეფრემი მიმართავს მხატვრულ სახეს – შედარებას: ქვეყანა, ანუ დედამიწა, რომელიც ისე, როგორც წერტილი ფარგლით შემოხაზულ წრეში, მდებარეობს სფეროს შიგნით, მის შუაგულში. ეს შედარება ეფრემს ალებული აქვს გრიგოლ ღვთისმეტყველის XLII საკითხავის ბასილი მინიმუსის კომენტარიდან, რომელშიც კონსტანტინოპოლი, როგორც სამყაროს ცენტრი, შედარებულია ფარგლით შემოხაზული წრის შუაგულში მდებარე წერტილთან:

რამეთუ ესრეთ არს იგი ყოვლისა სოფლისათჳს, ვითარცა წერტილი, რომლისაგან მომრგულეების სიმრგულე კარაკინითა, რამეთუ მისგან

ლიტურგიკული საკითხავების კრებულში იხ. ოთხმეზური, *კომენტარული ჟანრი*, გვ. 139-221; იხ. ასევე, თვალთვაძე, *ეფრემ მცირის კოლოფონები*, გვ. 47-54.

³¹ ოთხმეზური, *კომენტარული ჟანრი*, გვ. 87, 89; ბეზარაშვილი, *რიცორიკისა და თარგმანის თეორია*, გვ. 187-192.

³² Cods. ხეც A-109, f. 61r, Jer. georg. 15, f. 66v, Jer. georg. 43, f. 65v, Jer. georg. 13, f. 319r. ოთხმეზური, *კომენტარული ჟანრი*, გვ. 208.

განვლენ და კუალად მისსა შემოვლენ ყოველნი კიდენი.³³

საზოგადოდ, ტროპების სესხება ადრინდელი ავტორებისაგან საკმაოდ მიღებული ხერხია შუა საუკუნეების მწერლობაში. მაგალითად, ლადირი – გადირი – იგივე გიბრალტარის სრუტე, ვიწრო გასავლელი ხმელთაშუა ზღვიდან ატლანტის ოკეანეში იბერიის ნახევარკუნძულსა და აფრიკის კონტინენტს შორის – ადამიანური შესაძლებლობების ზღვარის მეტაფორაა ანტიკური ეპოქის პოეტთან, პინდაროსთან:

მაგრამ გადირის მიღმა წყვიადი არის დახშული,
მაშ, მოაბრუნე ევროპის ნაპირებისკენ ხომალდის საჭე,
რადგან ჩემს ძალებს აღემატება
ეაკოსის ძეთა შესახებ ამბავთა თხრობა.³⁴

აქ პინდაროსი საუბრობს პელეგისა და თეტისის ქორწილზე, რომლის დიდებულების აღწერა ადამიანური შესაძლებლობის ზღვარს მიღმაა. ეს მხატვრული სახე გამოყენებული აქვს გრიგოლ ღვთისმეტყველს ბასილი დიდთან დაკავშირებით:

ესრეთ უკუე აქუნდა ესე და აღსავსე სწავლულებითა იყო ტვრთი, რაოდენ დასატევენელ არს კაცობრივისა ბუნებისა, რამეთუ მიერ კერძო ლადირთა არა წარსავლელ.³⁵

თავის მხრივ, ლადირის მხატვრული სახე ნასესხები აქვს გრიგოლ ღვთისმეტყველის XLIII საკითხავის, „ბასილი დიდის ეპიტაფიის“ ქართული თარგმანიდან დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს. ის დავითის შესახებ აღნიშნავს:

ესრეთ რაჲ აღსავსე იყო ნავი ტვრთითა სათნოებისათა და არღარა შემძლებელ წარსლვად ლადირთა.³⁶

საიდან ისეხა ეფრემმა ფიგურალური გამოთქმა ილისტიკის კანონი, ჩვენთვის უცნობია. დღეს, როდესაც ეფრემის მიერ ნათარგმნი ლიტერატურული მემკვიდრეობა სრულად არ არის შესწავლილი, ძნელი სათქმელია, მან თავისივე ნათარგმნი შუა საუკუნეების რომელიმე ნაწარმოებიდან აიღო ეს გამოთქმა, თუ სხვა რომელიმე ბერძნული წყაროდან

³³ Cod. Jer. georg. 43, f. 155r. ოთხმეზური, *კომენტარული ჟანრი*, გვ. 214.

³⁴ Pindarus, *Nem.* IV, 9; პინდაროსი, *ოდები*, გვ. 175.

³⁵ *S. Gregorii Nazianzeni Opera. Versio Iberica*, IV, p. 115.

³⁶ შანიძე (გამოც.), *ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი*, გვ. 122-123; ოთხმეზური, „პინდაროსი“, გვ. 210-211.

ისესხა. არც ის არის გამორიცხული, რომ ეს ყოფილიყო შუა საუკუნეების მწიგნობრულ წრეებში კარგად ცნობილი მთარული ფიგურალური გამოთქმა და მას ზეპირი გზით შემოედწია ეფრემის ტექსტებში.

როგორც წესი, ფიგურალური გამოთქმები, ძირითადად, მხატვრულ-ესთეტიკური დანიშნულებით არის გამოყენებული ლიტერატურულ ნაწარმოებებში. თუმცა შუა საუკუნეების ეგზეგეტურ თუ კომენტარულ ტექსტებში მათ ზოგჯერ განსხვავებული ფუნქცია ეკისრებათ – ისინი ახსნა-განმარტების, კომენტირების ფუნქციას ითავსებენ.³⁷ მაგალითად, გრიგოლ ღვთისმეტყველის XXXIX სიტყვის ბასილი მინიმუსის კომენტარში განმარტებულია რიტორიკული ხერხი – *πρὸςκατάστασις* – წინაგანკაზმვა – სათქმელის წინასწარ შემზადება, თხრობისათვის ნიადაგის – მოკლე შესავლის – მომზადება. ეფრემი ამ განმარტებას თავისუფალი მთარგმნელობითი მეთოდით თარგმნის და მიმართავს მხატვრულ ხერხს, ანალოგიას:

წინაგანკაზმვისა წესი აქუს სიტყუათა ამათ. ხოლო წინაგანკაზმვა არს განმზადება გზათა სიტყვსათაჲ, რაჲთა ადგილ-სცენ თხრობასა მისსა.... აწ მოძღურისაგან იხილვების, რამეთუ პირველ მოიქმს ქუეყანასა და ეგრეთ სთესავს თესლსა.³⁸

ვფიქრობთ, ქართველთათვის უცხო რიტორიკული ტერმინის განმარტების მიზნით, ეფრემი მიმართავს ყოფითი ხასიათის ანალოგიას: თესვისათვის მიწის დამუშავებას.

საზოგადოდ შენიშნულია და ამაზე ჩვენ მიერ მოყვანილი მაგალითებიც მიანიშნებს, რომ შუა საუკუნეების ტროპები ხშირად კავშირშია სწორედ ადამიანის ყოფასთან, ყოველდღიურ საქმიანობასთან დაკავშირებულ საგნებთან თუ მოვლენებთან (მიწის დამუშავება, მშენებლობა, ფარგალი, შვეული). ამ ტიპის ტროპები ეხმარება ადამიანს პირადი, პრაქტიკული გამოცდილებიდან მიღებული ცოდნა გამოიყენოს უფრო აბსტრაქტული, განყენებული ცნებების გაგებაში.³⁹ ჩვენ მიერ მოყვანილ მაგალითებში ესენია: ლოგოსი, ეპისტემე, სამყაროს ცენტრი, პროკატასტასისი (რიტორიკული ხერხი).

თუმცა პასუხი კითხვაზე, თუ რა ფუნქციას ასრულებდა ბასილი

³⁷ დობორჯინიძე, *დინგვისდურ-პერმენევიკული მეტაფორები*, გვ. 165.

³⁸ ოთხმეზური, *კომენტარული ჟანრი*, გვ. 255.

³⁹ კონცეპტუალური მეტაფორები – ასე უწოდებენ ამგვარ გამოთქმებს თანამედროვე ლინგვისტიკის სფეროში 1980 წელს გამოცემული საყურადღებო წიგნის – *Metaphors We Live By* – ავტორები (Lakoff, Johnson).

მინიმუსისა და იოანე სკვითოპოლელის კომენტარებში ეფრემის მიერ ჩართული გამოთქმა „ილისტიკის კანონი“, მაინც ერთმნიშვნელოვანი არ არის. ვფიქრობთ, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ცნობილი, პოპულარული იყო ეს გამოთქმა მკითხველთა იმ წრეში,⁴⁰ რომლისთვისაც ეფრემი თარგმნიდა ამ ტექსტებს. თუ კი ეს იყო მოარული, საყოველთაოდ ცნობილი გამოთქმა, მაშინ კომენტართა ეფრემისეულ თარგმანებში მას, ცხადია, ახსნა-განმარტებითი ფუნქცია დაეკისრებოდა. მაგრამ თუ ეს იყო იშვიათი ფიგურალური გამოთქმა, რომლის შინაარსის ამოცნობა მხოლოდ წიგნიერი მკითხველების ვიწრო წრისათვის იყო ხელმისაწვდომი, და თუ გავითვალისწინებთ იმ მწიგნობრულ გარემოს, რომელშიც იქმნებოდა ეს თარგმანები (ეფრემის ელინთმოყვარეობა, გატაცება რიტორიკით, მის თარგმანებში სპეციალურად ჩართული ბერძნული ლექსიკური ერთეულები⁴¹ და ა. შ., ასევე, მისი *სწავლისმოყვარე, კეთილად გამომეძიებელი, იშუთ გულისწმისმოყვარი მკითხველები*⁴²), მაშინ ეფრემის მიზანი იქნებოდა ტექსტის, თუნდაც კომენტარულის, მხატვრული სახით გამშვენება, მხატვრული ტექსტების კითხვაში გაწაფული, განსწავლული მკითხველისათვის „მიფარულის“⁴³ ამოცნობით მიღებული სიამოვნების მინიჭება. როგორც ცნობილია, ბიზანტიური რიტორიკის თეორიის მიხედვით, *ἀσάφεια* – ბუნდოვანება, მიფარულობა – მაღალი სტილის მახასიათებელია და ხშირად არის გამოყენებული როგორც რიტორიკული ხერხი მხატვრულ ტექსტებში.

მიუხედავად იმისა, რომ ფიგურალური გამოთქმის – ილისტიკის კანონის – კვლევის ამ ეტაპზე ზოგი რამ კიდევ გაურკვეველი დაგვრჩა, შუა საუკუნეების ლექსიკისა და მხატვრული აზროვნების ლაბირინთებში მოგზაურობა – მიფარულის წვდომის მცდელობა, ვფიქრობთ, თავისთავად უსარგებლო არ უნდა იყოს ამ საკითხებით დაინტერესებული მკითხველისათვის.

⁴⁰ შუა საუკუნეების მკითხველების შესახებ იხ. Papaioannou, “Readers and Their Pleasures”, pp. 525-549.

⁴¹ ოთხმეხური, „ეფრემ მცირე და ‘ბერძულად სასწავლელი’ სიტყვები“, გვ. 143-145.

⁴² ასე ახასიათებს ეფრემი თავის მკითხველებს საკუთარი თარგმანების წინასიტყვაობებსა და კოლოფონებში, თვალთვადე, *ეფრემ მცირის კოლოფონები*, გვ. 214, 227.

⁴³ ეფრემი მიფარულებზე, როგორც გრიგოლ ღვთისმეტყველის სტილის მახასიათებელზე, საუბრობს გრიგოლ ღვთისმეტყველის ლიტურგიკული საკითხავების კრებულზე დართულ შესავალში – ეპისტოლეში კვირიკე ალექსანდრიელის მიმართ, თვალთვადე, *ეფრემ მცირის კოლოფონები*, გვ. 228.

ბიბლიოგრაფია

- აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი** = ი. აბულაძე, *ძველი ქართული ენის ლექსიკონი*, თბილისი, 1973.
- ბეზარაშვილი, რიცორიკისა და თარგმანის თეორია** = ქ. ბეზარაშვილი, *რიცორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა (გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ქართული თარგმანების მიხედვით)*, თბილისი, 2004.
- ბიბლია, II** = ბიბლია. ძველი აღთქმა, II, 2017.
- დობორჯინიძე, დინგვისცურ-პერმენევციკული მეტაფექსცეები** = ნ. დობორჯინიძე, *დინგვისცურ-პერმენევციკული მეტაფექსცეები, პრაქტიკული გრამატიკა და პერმენევციკა X-XIII სს. ქართულ წყაროებში*, თბილისი, 2012.
- ენუქაშვილი (გამოც.), პეფრე იმერიელი** = ს. ენუქაშვილი (გამოც.), *პეფრე იმერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგედი), შრომები, ეფრემ მცირის თარგმანი*, თბილისი, 1961.
- თვალთვაძე, ეფრემ მცირის კოლოფონები** = დ. თვალთვაძე, *ეფრემ მცირის კოლოფონები*, თბილისი, 2009.
- კეკელაძე, რაფავა (გამოც.), ამონიოს ერმისის თხზულებები** = ნ. კეკელაძე, მ. რაფავა (გამოც.), *ამონიოს ერმისის თხზულებები ქართულ მწერლობაში*, თბილისი, 1983.
- კოპლატაძე (თარგ.), წმ. ბასილი დიდი** = გ. კოპლატაძე (თარგ.), *წმ. ბასილი დიდი, კესარიაკაპადოკიის მთავარეპისკოპოსი, ახარებაზრდუმს იმის თაობაზე, როგორ მიიღონ სარგებლობა წარმართული მწერლობიდან*, თბილისი, 2011.
- მელიქიშვილი, „ქრისტიანული ტერმინების შექმნის გზები“** = ნ. მელიქიშვილი, *„ქრისტიანული ტერმინების შექმნის გზები ბიბლიურ წიგნთა თარგმანებში“*, *ნარკვევები ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ისტორიიდან, ბიბლიოლოგია. პომილეტიკა*, I, თბილისი, 2012.
- ოთხმეზური, კომენტარული ჟანრი** = თ. ოთხმეზური, *კომენტარული ჟანრი შუა საუკუნეების ქართულ მთარგმნელობით ცრადიციაში. ეფრემ მცირე და გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კომენტარები*, თბილისი, 2011.
- ოთხმეზური, „ეფრემ მცირე და ‘ბერძულად სასწავლელი’ სიტყვები“** = თ. ოთხმეზური, *„ეფრემ მცირე და ‘ბერძულად სასწავლელი’ სიტყვები“*, *ნახნავი: ფილოლოგიურ კვლევათა წერილდუელი*, 1 (2009), გვ. 139-151.
- ოთხმეზური, „პინდაროსი“** = თ. ოთხმეზური, *„პინდაროსი ძველ ქართულ მწერლობაში?“* *ნახნავი: ფილოლოგიურ კვლევათა წერილდუელი*, 2 (2010), გვ. 210-217.
- ორბელიანი I** = სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, თბილისი, 1991.
- ორბელიანი II** = სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, II, 1993.
- პინდაროსი, ოდები** = პინდაროსი, *ოდები, ფრაგმენტები*, ნ. ტონიას თარგმანი, თბილისი, 2003.
- ჰუმბურიძე (გამოც.), ქართულ-ბერძნული საღვთისმეტყველო განმარტებანი** = ა. ჰუმბურიძე (გამოც.), *ქართულ-ბერძნული საღვთისმეტყველო განმარტებანი ანგელოზურ ძალთა შესახებ*, თბილისი, 2001.
- შანიძე (გამოც.), ცხორება** = მზ. შანიძე (გამოც.), *ცხორება მეფეთ-მეფისა დავითისი*, თბილისი, 1992.

- Collins**, “*Watcher* უჩუი” = J. J. Collins, “*Watcher* უჩუი”, *Dictionary of Deities and Demons in the Bible Online*, K. van der Toorn, B. Becking, P. W. van der Horst (eds.), consulted online on 15 November 2023 <http://dx.doi.org/10.1163/2589-7802>
- [S.] Gregorii Nazianzeni Opera. Versio iberica, I-VII** = E. Metreveli, B. Coulie et al. (eds.), *Gregorii Nazianzeni Opera. Versio iberica, I-VII* (*Corpus Christianorum, Series Graeca*, 36, 42, 45, 52, 58, 78, 86. *Corpus Nazianzenum*, 5, 9, 12, 17, 20, 26, 28), edita a B. Coulie, H. Metreveli et al., Turnhout, 1998-2018.
- [S.] Gregorii Nazianzeni Opera. Versio Iberica, IV** = S. Gregorii Nazianzeni Opera. *Versio Iberica, IV. Oratio XLIII* (*Corpus Christianorum, Series Graeca*, 52. *Corpus Nazianzenum*, 17), edita a B. Coulie, H. Metreveli et K. Bezarachvili, T. Kourtsikidze, N. Melikichvili, T. Othkhmezhouri, M. Rapava, Turnhout, 2004.
- [S.] Gregorii Nazianzeni Opera. Versio Iberica, VII** = S. Gregorii Nazianzeni Opera. *Versio Iberica, VII. Orationes XIV, XVI* (*Corpus Christianorum, Series Graeca*, 86. *Corpus Nazianzenum*, 28), edita a B. Coulie, H. Metreveli et K. Bezarachvili, T. Kourtsikidze, N. Melikichvili, T. Othkhmezhouri, M. Raphava, Turnhout – Leuven, 2017.
- Kharanauli**, “*Georgian Texts*” = A. Kharanauli, “*Georgian Texts*”, *Textual History of the Bible. The Deuterocanonical Scriptures*, vol. 2A, A. Lange, F. Feder, M. Henze (eds.), Leiden – Boston, 2020, pp. 456-472.
- Lakoff, Johnson**, *Metaphors* = G. Lakoff, M. Johnson, *Metaphors We Live By*, Chicago – London, 1980.
- Liddell-Scott**, *A Greek-English Lexicon* = H. G. Liddell, R. Scott., *A Greek-English Lexicon*, Oxford, 1940.
- Othkhmezhouri**, “*The Liturgical Sermons*” = T. Othkhmezhouri, “*The Liturgical Sermons of Gregory of Nazianzus. On the Date of the Georgian Translation by Ephrem Mtsire*”, in: Schmidt (ed.), *Studia Nazianzenica*, II (*Corpus Christianorum, Series Graeca*, 73), Turnhout, 2010, pp. 469-475.
- Papaioannou**, “*Readers and Their Pleasures*” = S. Papaioannou, “*Readers and Their Pleasures*”, S. Papaioannou (ed.), *The Oxford Handbook of Byzantine Literature*, Oxford, 2021, pp. 525-549.
- Rioual (ed.)**, *Basilii Minimi* = G. Rioual (ed.), *Basilii Minimi in Gregorii Nazianzeni Orationes 4 et 5 commentarii* (*Corpus Christianorum, Series Graeca*, 90. *Corpus Nazianzenum*, 29), Turnhout, 2019.
- Schmidt (ed.)**, *Basilii Minimi* = T. Schmidt (ed.), *Basilii Minimi In Gregorii Nazianzeni Orationem 38 commentarii* (*Corpus Christianorum, Series Graeca* 46, *Corpus Nazianzenum*, 13), Turnhout, 2001.
- Suchla (ed.)**, *Corpus Dionysiacum*, IV/1 = B. R. Suchla (ed.), *Ioannis Scythopolitani Prologus et scholia in Dionysii Areopagitae librum De divinis nominibus, Corpus Dionysiacum*, IV/1 (*Patristische Texte und Studien*, 62), Berlin, 2011.

**FIGURATIVE EXPRESSION – A RULE OF ILISTIKI – IN
THE COLLECTION OF GREGORY THE THEOLOGIAN’S
LITURGICAL SERMONS AND THE CORPUS AREOPAGITICUS
TRANSLATED BY EPHREM MTSIRE**

SUMMARY

The collection of Gregory the Theologian’s *Liturgical Sermons* and the *Corpus Areopagiticus*, the two most significant works of late antiquity, are translated into Georgian by a famous Georgian scholar of the Black Mountain (the Antioch region), Ephrem Mtsire in the last decade of the 11th century. Both collections also contain Ephrem’s translations of Byzantine commentaries which are placed in the margins of the manuscripts. The *Commentaries* on Gregory the Theologian’s sermons are composed by the 10th century Byzantine scholar Basilus Minimus; the *Commentaries* of the *Corpus Areopagiticus* belong to the 6th century author John Scythopolis. In contrast to the highly literal translations of the main texts, Ephrem translated the *Commentaries* in a free manner. Selecting of such a translation method for rendering the *Commentaries* into Georgian was conditioned by the expositional character of these texts. Certain adaptations – additions and omissions – as well as some linguistic changes were required to preserve the expositional function of the *Commentaries*.

The aim of our article is to discuss a figurative expression – კანონი ოღობისობად (*a rule of ilistiki*) – attested in the Ephrem’s translation of the *Commentaries* of Basilus Minimus and John of Scythopolis, which must have been included in these texts by Ephrem.

Based on the analysis of various sources it has been revealed, that a lexical unit *ilistiki* means a *plumb* – a ball of a heavy object attached to the end of a rope for determining the vertical on an upright surface. It is carried over from Greek to Georgian by means of transliteration of a Greek word ἰλλάξ – *a rope* and a Greek suffix -ιστικ-. The *Rule of ilistiki* is the figurative expression and means a *true, well-established rule*.

Today, when Ephrem’s literary heritage is not fully studied, it is difficult to say whether he took this figurative expression from any medieval work he translated, or he borrowed it from some other source.

We cannot say precisely what was the function of this figurative expression in the *Commentaries* of Basilus Minimus and John of Scythopolis. It depends on how well-known, popular this expression was among the readers for whom Ephrem was translating these texts. If this was a well-known expression in that

epoch, then it would have had an explanatory function in these texts. If it was a rare expression, the content of which could only be recognized by a small circle of literate readers, then it would have had employed by Ephrem as a rhetorical ornament with an artistic function in the texts.

Korneli Kekelidze Georgian National
Centre of Manuscripts
otkhmezuri@hotmail.com

Thamar Otkhmezuri